აბისისა და ახალსოფლის საჯარო სკოლებს სრული რეაბილიტაცია უტარდებათ

07 აგვისტო 2022

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელების, აბისისა და ახალსოფლის საჯარო სკოლებს რეაბილიტაცია უტარდებათ. ორივე პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, რაზეც 3 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი სიმონ გულედანი გაეცნო. მისი თქმით, ორივე შენობა ფაქტობრივად სრულად განახლა, შეიცვალა სახურავები, კარ-ფანჯრები, მოწესრიგდა სველი წერტილები, მოეწყო ორივე სკოლის ეზო და სპორტული მოედნები.

ორივე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ახალი სასწავლო წლისთის დასრულებული იქნება და ადგილობრივ მოსწავლეებსა და პედაგოგოებს განახლებული ინფრასტრუქტურით შეეძლებათ სარგებლობა.